საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №175 2011 წლის 1 სექტემბერი ქ. თბილისი

ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების (გარდა გადამფრენი ფრინველისა) სახეობების დამტკიცების შესახებ *(22.09.2011 N195)*

„ტყის ფონდის მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) სახეობები. *(22.09.2011 N195)*

2. ნადირობას დაქვემდებარებულ ცხოველთა სამყაროს ობიექტების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) სახეობების კვოტებს ადგენს და ანაწილებს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბუნებრივი რესურსების სააგენტო. *(22.09.2011 N195)*

3. ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტის (გარდა გადამფრენი ფრინველისა) მოპოვების შესახებ დოკუმენტს კანონმდებლობით დადგენილი წესით გასცემს საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბუნებრივი რესურსების სააგენტო. *(22.09.2011 N195)*

4. ამ ბრძანებით განსაზღვრული ცხოველთა სახეობების მოპოვება განხორციელდეს „ცხოველთა სამყაროს ობიექტების, მათი სახეობების მიხედვით მოპოვების წესების, ვადებისა და მოპოვებისათვის დაშვებული იარაღისა და მოწყობილობების ჩამონათვალის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 6 აპრილის №07 ბრძანებით დადგენილ ვადებში და მოპოვების საშუალებებით.

5. მურა დათვის, ირმის, არჩვის, დასავლეთ კავკასიური ჯიხვისა და დაღესტნური ჯიხვის, ნიამორის, კავკასიური როჭოს და კასპიური შურთხის გარემოდან ამოღება, განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით. *(16.03.2012 N 74)*

6. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ხეთაგური

დანართი *(22.09.2011 N195)*

ნადირობას დაქვემდებარებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების (გარდა გადამფრენი ფრინველებისა) სახეობები

1. ძუძუმწოვრები

ქართული დასახელება	ლათინური დასახელება
1. ნუტრია	Myocastor coypus
2. კურდღელი	Lepus europaeus
3. მაჩვი	Martes meles
4. ტყის კვერნა	Martes Martes
5. ქვის კვერნა	Martes foina
6. მგელი	Canis lupus
7. ტურა	Canis aureus
8. მელა	Vulpes vulpes
9. ენოტისებური ძაღლი	Nyctereutes procyonoides
10. ტყის კატა	Felis silvestris
11. გარეული ღორი	Sus scrofa
12. შველი	Capreolus capreolus
13. ენოტი	Procyon lotor

2. ფრინველები

ქართული დასახელება	ლათინური დასახელება
1. ხოხობი	Phasianus colchicus
2. კაკაბი	Alectoris graeca
3. დურაჯი	Francolinusfrancolinus
4. გნოლი	Perdix perdix